ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი რეგულირება: გამოწვევები და შესაძლებლობები

ლაშა ცერცვაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

https://orcid.org/0000-0001-8769-4540

I. შესავალი

You can only regulate, what you can regulate.[1]

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება შესაძლებელია ხელოვნური ინტელექტის (AI)s რეგულირების აუცილებლობასთან დაკავშირებით არგუმენტების მოსაძიებლად, რაც ამართლებს იმ ავტორთა მოსაზრებას, რომლებიც აცხადებენ, რომ AI-ვერასოდეს გახდება ადამიანი, ის ვერასოდეს იაზროვნებს და იფიქრებს ისე, როგორც ადამიანი, რადგან მას არ გააჩნია ინსტინქტები და გრძნობები. სხვა შემთხვევაში, წინამდებარე სტატიის წერის პროცესში, ხელოვნური ინტელექტი (ChatGPT) არ მიპასუხებდა ისეთ კითხვებზე, რომლებიც პირდაპირ მის წინააღმდეგ საკანონმდებლო რეგულირების შემოღებას ეხება, ის კი პირიქით, დიდი ენთუზიაზმით დამეხმარა AI-ის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების მოძიებაში. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ ყველაფერი ადამიანის ხელშია, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც.

[1] Rademacher, Wischmeyer, 2020, vii.

გამოცდილებამ და დაკვირვებამ ასევე ისიც აჩვენა, რომ ხელოვნური ინტელექტის ეფექტიანი გამოყენება შესაძლებელია მაშინ, თუკი კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული ცოდნა გაქვთ, სხვა შემთხვევაში, ადვილად შეცდებით. აუცილებელია მის მიერ მოწოდებული წყაროების შესწავლა და გულმოდგინედ გადამოწმება. მოწოდებულ ინფორმაციაზე ბრმად მინდობა აუცილებლად უარყოფით შედეგს გამოიწვევს.

მაინც რა არის ხელოვნური ინტელექტი სამართლებრივი თვალსაზრისით, მას უნდა შევხედოთ მხოლოდ ისე, როგორც რთულ მოწყობილობას, ობიექტს, თუ ასეთი რთული სისტემა ინტელექტით მიჩნეულ უნდა იქნეს პირად, სუბიექტად, რომელიც რაღაცით ჰგავს ადამიანს – ეს ის საკითხებია, რასაც პასუხი უნდა გაეცეს ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი რეგულირების შესწავლისას.

„კომპიუტერი არა მხოლოდ ჩვენთვის აკეთებს რამეს, არამედ გავლენასაც ახდენს ჩვენზე, მათ შორის ჩვენს დამოკიდებულებაზე საკუთარი თავის, თუ სხვათა მიმართ. ჩვენ ვქმნით ტექნოლოგიებს, ხოლო ისინი „გვქმნიან/გვცვლიან“ ჩვენ, ახდენენ გავლენას ჩვენს დროზე. ჩვენს არსებობას დრო განსაზღვრავს, ჩვენ ვქმნით კომპიუტერს, კომპიუტერი „ქმნის“ ჩვენს დროს... ტექნოლოგია გვცვლის როგორც ადამიანებს, ცვლის ჩვენს ურთიერთობებს და საკუთარი თავის აღქმას.“[2] აღნიშნული გავლენა განსაკუთრებით ძლიერია, როდესაც საუბარია ხელოვნურ ინტელექტზე.

გრძელვადიან პერსპექტივაში, შევეჩეხებით რთულ პრობლემას, რაც სუპერინტელექტის მქონე AI-ის კონტროლს გულისხმობს, ვინაიდან ის შეიძლება განვითარდეს წინასწარ განუჭვრეტელი გზით.[3] ამ პრობლემის გადაჭრისათვის მზადყოფნის მიზნით, აუცილებელია, რომ AI-ის შესახებ არსებობდეს შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირება, რათა იგი არ დარჩეს ყოველგვარ კონტ-

[2] Sherwin, 2000, 34.

[3] Russell, Norving, 2022, 53.

როლს მიღმა. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია საკმაოდ პოპულარული მოსაზრება, რომ ხელოვნურ ინტელექტს შესაძლოა მიენიჭოს ნაწილობრივი იურიდიული სტატუსი, თუმცა, ცხადია, რომ მთავარი კითხვაა, ზოგადად რამდენად აუცილებელია მისთვის სამართლებრივი სტატუსი დოქტრინული თუ პარქტიკული თვალსაზრისით.[4]

ნების არსებობა და პასუხისმგებლობა განასხვავებს სუბიექტს ობიექტისაგან. სუბიექტს, აქვს აზროვნების უნარი და ზემოქმედებს ობიექტზე და ცხადია, ამ ზემოქმედების შედეგებზე პასუხს სუბიექტი აგებს. უდავოა, რომ „ჭკვიან ასისტენტს", „გონიერ აგენტს" თუ მანქანას, რომელიც მძღოლის გარეშე AI-ით იმართება, არ გააჩნია თავისუფალი ნება თუ თვითგამორკვევის უნარი. ისინი არ აღიქვამენ და გამოხატავენ იმას, თუ რა არის სწორი ან არასწორი, მიჰყვებიან სუბიექტის (პროგრამისტის, მომხმარებლის) ინსტრუქტაჟს. სწორედ ამიტომ ბევრი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მათი აზროვნების და დასწავლის უნარი არ შეიძლება იყოს გარდამტეხი და ცვლილებების მომტანი. ისინი ამტკიცებენ, რომ ხელოვნური ინტელექტი ვერ შეედრება ადმიანის ტვინის შესაძლებლობებს, განსაკუთრებით კი კრეატიულობისა და ორიგინალურობის თვალსაზრისით. უფრო მეტიც, მკვლევართა აზრით, მისი „გონიერ აგენტად" მოხსენიება შეცდომაში შემყვანია და რომ AI მისი ბუნებით იმდენად წინააღმდეგობრივადაა სტრუქტურიზირებული, რომ იგი ვერასოდეს შეძლებს იფიქროს და იმოქმედოს ისე, როგორც ადამიანმა.[5]

მაგრამ მთავარი კითხვა აქ, ალბათ, ისაა, საჭიროა კი, რომ AI ფიქრობდეს და მოქმედებდეს როგორც ადამიანი იმისათვის, რომ მას „რაღაც" სამართლებრივი სტატუსი მიენიჭოს. ამაზე პასუხი სამეწარმეო სამართალში დიდი ხანია უკვე არსებობს. იურიდიულ

[4] Schirmer, 2020, 125.

[5] იქვე, 126.

პირებს აქვთ სამართლებრივი სტატუსი, ისინი სამართლის სუბიექტები არიან, მიუხედავად იმისა, რომ, ბუნებრივია, ისინი არ აზროვნებენ და მოქმედებენ როგორც ადამიანები, უფრო მეტიც, ფაქტობრივი თვალსაზრისით, ისინი არც არსებობენ, მატერიალური ფორმა არ გააჩნიათ და მათი არსებობა მხოლოდ სამართალში, ფიქციის საშუალებით ხდება შესაძლებელი. ფიქციის თეორიის თანახმად, იურიდიულ პირს სტატუსი, ადამიანისგან განსხვავებით, ხელოვნურია და ფიქციის საშუალებით იძენს იურიდიულ ძალას.[6] იურიდიული პირის ქმედუნარიანობა პოზიტიურ სამართალზეა დამყარებული და იგი არაა იმანენტური, წინასწარ დადგენილი სტანდარტი, როგორც ეს, მაგალითად, ფიზიკური პირის შემთხვევაშია. ნამდვილი პირები მხოლოდ ფიზიკური პირები არიან.[7] გაერთიანების თეორია, რომლის თანამედროვე ვერსია ასევე ცნობილია როგორც კორპორაციული ნომინალიზმი, კონცეპტუალურად ფიქციის თეორიასთან არის დაკავშირებული.[8] აღნიშნული თეორიით, მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს იმ უფლებების და მოვალეობების მატარებელი, რომლებიც სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოიშობა და ამდენად „ნამდვილი პირი“ და არა კორპორაციული ორგანო. ამდენად, ამ თეორიის თანახმად, კორპორაციის დამოუკიდებელი, იურიდიული სტატუსი მხოლოდ კორპორაციის წევრების კოლექტიური სახელწოდებაა.[9]

თანამედროვე დოქტრინა, იურიდიული პირის დამოუკიდებელი სამართლებრივი იდენტობის საფუძველზე, აცხადებს, რომ იურიდიული პირი განხილული უნდა იქნეს როგორც დამოუკიდებული, მისი წევრებისგან განცალკევებული პირი. სამართლებრივი წესებს, რომლებიც კორპორაციის წევრებსა და თავად კოპორაციას ერთმა-

[6] Zimmer, 2005, 267.
[7] იქვე, 268.
[8] იქვე, 269.
[9] იქვე.

ნეთისგან განაცალკევებს, შეიძლება ეწოდოს სწორედ „კორპრაციული საფარველი“.[10]

ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე, მიუხედავად იმისა, რომ AI-ი შესაძლოა არსებობდეს მატერიალური ფორმით, ცხადია, მისი არსებობის ფორმა არ არის და არც უნდა იყოს მისი იურიდიული სტატუსის განმსაზღვრელი.

II. ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი სტატუსი

Agency or no Agency – Apparently, there is no right choice.[11]

სამართალი მხოლოდ ტენდეციას, გნებავთ, მოდას, არ უნდა აჰყვეს, AI-თვის სტატუსის მინიჭება მხოლოდ და მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობით უნდა აიხსნებოდეს. თუკი ასეთი აუცილებლობა არ დგას, არც სტატუსის მინიჭების განხილვაა მიზანშეწონილი. რამდენად საჭიროა, დავუშვათ AI-თვის სტატუსის მინიჭება, – ეს ყველაფერი ჩვენს ხელშია (ყოველ შემთხვევაში ახლა და ჯერ კიდევ), დღეისათვის იურიდიული სტატუსის კარის მცველი ჩვენ ვართ. შეგვიძლია AI ამ კარის მიღმა დავტოვოთ.[12] ამდენად, კარგად დაფიქრებაა საჭირო, სანამ AI-ის სამართლებრივი სტატუსის შესახებ რაიმე გადაწყდება. ეს უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ აუცილებლობიდან გამომდინარე. რადგან უდავოა, რომ AI-ის რეგულირება, საჭიროების შემთხვევაში, მისთვის სამართლებრივი სტატუსის მინიჭების გარეშეც შეიძლება, იმ სუბიეტის რეგულირების გზით (მაგ., ლიცენზიის მოთხოვნა და ა.შ.), რომელიც ქმნის ხელოვნურ ინტელექტს სხვადასხვა სფეროში.

დასაფიქრებელია ის ფაქტიც, AI-ისთვის სამართლებრივი სტატუსის მინიჭებით, ეს შესაძლებელს გახდის, ადამიანებმა თავი აარიდონ პასუხისმგებლობას, რადგან იგი თავად AI-ის შეიძლება

[10] იქვე, 270.

[11] Schirmer, 2020, 128.

[12] იქვე, 126.

დაეკისროს.[13] როგორ იქნება შესაძლებელი ფაქტობრივი და საბოლოო შედეგის თვალსაზრისით, ხელოვნური ინტელექტი პასუხისმგებელი იყოს საკუთარ ქმედებათა შედეგებზე, ეს ცალკე საკითხია და მისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭებამდე ესეც კარგად შესწავლილი და მოსაფიქრებელია. აღნიშნული განსაკუთრებულ მნიშვნელობას და დატვირთვას იძენს AI-ის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის თვალსაზრისით.

ხელოვნურ ინტელექტს არ უნდა ჰქოდეს ადამიანის მსგავსი სტატუსი, რაც იურიდიული ლიტერატურაში ასევე განიხილება როგორც ერთი-ერთი შესაძლო ვერსია. მეორე მხრივ, რეგულაციის არსებობა აუცილებელია, რამდენადაც არ უნდა გაჩნდეს ცარიელი სივრცე, რომელიც AI-ის რეგულაციის გარეშე დატოვებს, ე.წ. სამართლებრივი ვაკუუმი, რაც აუცილებელია შეივსოს ახალი რეგულაციით, რათა არ წარმოიქმნას ე.წ. „პასუხისმგებლობის ხარვეზი“, რომელიც რაც პასუხისმგებლობისგან გაქცევის საშუალებას დატოვებს. ამასთან, რეგულირების დადებითი მხარე შეიძლება იყოს ისიც, რომ გაიზრდება ნდობა ხელოვნური ინტელექტის მიმართ.

აუცილებელია გამოკვლეულ იქნეს, რამდენად პოვებს ასახვას სამართლის ნორმებში ტექნოლოგიური კრეატიულობა და მხარეთა ურთიერთობის ახალ ფორმა, რაც AI-ის არსებობითაა განპირობებული. აღნიშნული აუცილებელია იმისათვის, რომ ბალანსი იქნეს მიღწეული მხარეთა ინტერესებსა და მათი უფლებების დაცვას შორის. ეს ასევე იძლევა საშუალებას, დადგინდეს, თუ რა მოცულობით უნდა შემოვიდეს სამართალი თვითრეგულირების სივრცეში.[14]

ხელოვნური იტელექტის გამოყენებით გამოწვეულ პასუხისმგებლობაზე ევროკავშირმა ფიქრი უკვე დაიწყო და ორი ძირითადი აქტიც მიიღო რომელიც AI-ის ex ante და ex post რეგულირებას

[13] იქვე, 128.
[14] De Franceschi, Schulze, 2019, 9.

ეხება.[15] საინტერესოა, ვის შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ზიანისათვის, რაც ხელოვნურმა ინტელექტმა გამოიწვია. ზიანი შეიძლება განსხვავდებოდეს მისი სიმძიმით და მასშტაბურობით, იმის მიხედვით, თუ რომელ სფეროშია გამოწვეული. დაწყებული ბალახის საკრეჭი მანქანის პროგრამული შეცდომიდან, რომელმაც მეზობლის ეზოს საზღვარი გადაკვეთა და ყვავილები გათიბა, დამთავრებული თვითსწავლის უნარის მქონე სამედიცინო AI-ის შეცდომით, რომელმაც შესაძლოა ეპიდემია გამოიწვიოს, ან ავტომობილის AI-ის შეცდომით მოძრაობის დროს, რასაც შესაძლოა მოჰყვეს ავტოშეჯახება და ა.შ.[16]

ტექნოლოგიის სწრაფად განვითარების ფონზე, სამართლის მეცნიერებს თუ კანონმდებელს (ეროვნულს თუ ევროკავშირის დონეზე), არც ისე ბევრი დრო აქვთ იმისათვის, რომ განავითარონ სამათლებრივი პოზიცია, როგორც შესაბამისი და ეფექტიანი პასუხი უდავოდ დიდი რისკების მიმართ, რაც AI-ის გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს.[17]

1. რეგულაციის სავარაუდო გზები

კონსტიტუციურ დემოკრატიაში სამართლის ნორმები სამ ძირითად ასპექტს ასახავენ: 1. სამართლებრივი ნორმები მიღებულია დემოკრატიული კანონმდებლის მიერ; 2. ისინი შეიძლება დარღვეულ იქნენ; 3. დარღვევა და მისი შედეგები შესაძლებელია სადავო გახდეს სასამართლოში. აღნიშნული ასპექტები განასხვავებენ სამართალს დისციპლინისგან თუ უბრალო თვითადმინისტრირებისგან.[18]

[15] The EU Artificial Inteligence Act (Regulation (EU) 2024/1689 of the European Parliament and of the Council, 13 June 2024); The EU AI Liability Directive (Directive 2022/496 of the European Parliament and of the Council, 28 September 2022).

[16] De Franceschi, Schulze, 2019, 9.

[17] იქვე, 11.

[18] Hildebrandt, 2015, 10.

ახალმა რეგულირებამ უნდა შეძლოს ზემოაღნიშნული ასპექტების გათვალისწინება. განსაკუთრებით საინტერესო გამოწვევაა AI-ის რეგულაციის დარღვევის შედეგად სასამართლოში საქმის განხილვის პერსპექტივა.

დღეს, როდესაც სოციალურ ქსელსა და რეალობას შორის, თუ შეიძლება ითქვას "online" და "ofline" ცხოვრებას შორის, ზღვარი საკმაოდ ბუნდოვანია, რასაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული არაერთი კვლევა აჩვენებს,[19] ცხოვრების online ნაწილის რეგულირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხდება. იგი მჭიდრდაა დაკავშირებული AI-თან და როგორც ტექნოლოგიების განვითარების ტენდეცია აჩვენებს, ეს კავშირი კიდევ უფრო გამყარდება.

1.1. მწარმოებლის პასუხისმგებლობა პროდუქციაზე

მწარმოებლის პასუხისმგებლობა პროდუქციაზე შეიძლება იყოს ერთ-ერთი გზა, AI-ის (როგორც პროდუქტის) მწარმოებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში იგი მოხვდება ასევე ევროდირექტივის (რომელიც პროდუქციაზე პასუხისმგებლობის საკითხებს ეხება[20]) რეგულირების ქვეშ. მომხმარებელთა უფლებების შესახებ დირექტივის (2011/83) თანახ-

[19] 2014 წლის 7 მარტს ამერიკაში მეშვიდედ აღინიშნა „გამორთვის" (unplugging) ეროვნული დღე. როგორც The New Yorker-ის ბლოგი იუწყებოდა, აღნიშნული ღონიძიების მიზანი იყო დახმარებოდა ადამიანებს, რომლებიც მუდმივად ჩართულნი არიან ინტერნეტში თუ მიჯაჭვულნი სმარტმოწყობილობებსა და ტელევიზორებზე, ესარგებლათ დასვენების დღის „უძველესი რიტუალით". მონაწილეებს თავი უნდა შეეკავებინათ ტექნოლოგიების გამოყენებისგან, გამოეთიშათ საკუთარი თავი სმარტფონებიდან, ტაბლეტებიდან, კომპიუტერებიდან თუ ტელევიზორიდან. ორგანიზატორებს სურდათ, ადამიანები ყოფილიყვნენ მეტად რეალურები, მეტად დაკავშირებულნი ერთმანეთთან. იხ., იქვე, 41.

[20] Council Directive 85/374/EEC on the Approximation of the Laws, Regulations and Administrative Provisions of the Member States concerning Liability for Defective Products, 25 July 1985.

მად, მომხმარებელმა უნდა იცოდნენ, ვისგან აპირებენ პროდუქტის შეძენას.[21] მოვაჭრე კი ვალდებულია, რომ ეს გააკეთოს მარტივად და მომხარებლისათვის გასაგებად, იმგვარად, რომ ეს უკანასკნელი შეცდომაში არ შეიყვანოს.

თუმცა განხილვის საგანია, რამდენად შესაძლებელი და აუცილებელია დირექტივის სათანადო ინტერპრეტაცია და ანალოგით გამოყენება და ზოგადად, რამდენადა შეესატყვისება ისინი ახალ გამოწვევას. რა უნდა გააკეთოს კანონმდებელმა, რომ პროდუქციისათვის პასუხისმგებლობა შეესაბამებოდეს თანამედროვე გაციფრულების (დიგიტალიზაციის) დონეს.[22] უდავოა, თუ ეს გზა იქნება არჩეული, დირექტივაში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილებები, რომლებიც უპასუხებენ გაციფრულების თანამედროვე გამოწვევებს.

1.2. ოპერატორის პასუხისმგებლობა

ევროკავშირში აქტიური დისკუსია მიმდინარეობს AI-ის ოპერატორის პასუხიმგებლობასთან დაკავშირებითაც, რაც პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობის პარარელურად, შეიძლება იყოს „ამოუცნობ წყლებში“ ერთ-ერთი შესასვლელი გზა. ამ მხრივ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახიფათო მოწყობილობების მფლობელის მკაცრი პასუხისმგებლობის ნორმები, რაც ეროვნულ დონეზე კარგადაა განვითარებული ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი, გერმანიაში. AI-გან წამოსული რისკების მიმართაც შესაძლოა ამგვარი მკაცრი ვალდებულების დაწესება, თუმცა იმ რისკების საერთაშორისო ბუნების გათვალისწინებით, რაც შეიძლება AI-ის გამოყენებას მოჰყვეს, უმჯობესია ეს მოხდეს ევროპულ და არა მხოლოდ ეროვნულ საკანონმდებლო ჩარჩოში.[23]

[21] Markou, 2017, 197.

[22] De Franceschi, Schulze, 2019, 11.

[23] იქვე, 12.

1.3. სრულიად ახალი სამართლებრივი რეგულირება

თანამედროვე საჯარო მენეჯმენტის სწავლების შესაბამისად, რეგულაციური ჩარევა უნდა იყოს ეფექტური იმისათვის, რომ იგი სრულად შეესაბამებოდეს მის დანიშნულებას (უნდა ჰქონდეს წინასწარ ჩაფიქრებული/განსაზღვრული ეფექტი, უნდა იყოს ეკონომიკურად გამართლებული და მიმართული კონკრეტული შედეგის დადგომისაკენ. უნდა იყოს ოპტიმალური კავშირი რეგულაციურ ჩარევასა და დამდეგარ შედეგს შორის.[24]

სამართლის წარმატებული იმპლემენტაცია დამოკიდებულია მის ეფექტურ აღსრულებაზე.[25] არაეფექტურ, ან ნაწილობრივ ეფექტურ აღსრულებას, შესაძლოა შედეგად ის მოჰყვეს, რომ ახალი კანონი აზრს მოკლებული აღმოჩნდეს ან/და გამოიწვიოს დაბნეულობა.[26] აღნიშნული გასათვალისწინებელია AI-ის თაობაზე შესაბამისი კანონის მიღებისას, რომ ახალმა რეგულირებამ (ასეთის საჭიროების და არსებობის შემთხვევაში) არ დაკარგოს აზრი და არ გამოიწვიოს დაბნეულობა, რაც კიდევ უფრო გაართულებს AI-ის რეგულრების პროცესს.

ცხადია, რომ AI ალგორითმების საშუალებით მუშაობს. ალგორითმი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს როგორც კარგი მიზნებისათვის, ასევე მისი გამოყენება შესაძლებელია დამაზიანებელი აღმოჩნდეს საზოგადოებისათვის. რეგულაციის საბოლოო მიზანი ის უნდა იყოს, რომ არ გამოიყენონ ალგორითმი, თუ გამოყენებით გამოწვეული რისკების აღმოფხვრა არ არის შესაძლებელი.[27]

ტექნოლოგიური განვითარების სამათლებრივ ნორმებში ასახვისას მრავალმხრივი ინტერესი სათანადოდ უნდა იქნეს დაბალან-

[24] Brownsword, Goodwin, 2012, 61.
[25] Lodder, Cooper, 2023, 79.
[26] იქვე.
[27] იქვე, 82, 88.

სებული და ხაზები გაივლოს შესაძლოს (ტექნოლოგია), დასაშვებს (სამართალი)და სასურველს (ეთიკა) შორის. იმის მიხედვით, თუ როგორაა შეწონილი ეს სამი ფაქტორი ერთმანეთთან, შედეგი შეიძლება დახასიათდეს როგორც „თეთრი", „შავი" ან „ნაცრისფერი". „თეთრი" გულისხმობს, რომ ტექნოლოგიის გამოყენება შესაძლებელია კანონიერად და ეთიკური წესების დაცვით, „შავი" – ტექნოლოგია არ არის დასაშვები არც სამართლებრივი და არც ეთიკური თვალსაზრისით, ყველა სხვა შემთხვევა კი კლასიფიცირდება როგორც „ნაცრისფერი".[28]

ალგორითმის გამოყენების დასაშვებობასთან დაკავშირებით უმთავრესია იმის განსაზღვრა, თუ რომელი ალგორითმის დაშვებაა შესაძლებელი, რა პირობებსა და ფარგლებში. როდესაც საუბარია რეგულირებაზე, სამი ძირითადი კითხვა უნდა დაისვას: 1. რა უნდა დარეგულირდეს? 2. რატომაა საჭირო რეგულირება? 3. როგორ უნდა დარეგულირდეს? აღნიშნული კითხვები უერთიერდაკავშირებულია, პასუხების პროცესი კი – განმეორებითი.[29]

1.3.1. რეგულირების ობიექტი

რა უნდა დარეგულირდეს? – აღნიშნული კითხვა ეხება როგოც რეგულირების ობიეტს, ასევე არსებით ნორმებს. რა ობიექტი, რა ქცევა, რა ფენომენი უნდა დარეგულირდეს და რა ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული მათ მიმართ? ტექნოლოგიების განვითარების სისწრაფის გათვალისწინებით, რეგულაცია არ უნდა იყოს ძალიან სპეციფიკური, კონკრეტული, მაგრამ ამასთანავე, უდავოა, რომ არც – ძალიან ზოგადი. როდესაც არსებითი ნორმები და რეგულაცია ძალიან ზოგადია, არსებობს რისკი იმისა, რომ მოხდეს არასწორ დროს გამოიყენონ და სრულია არასაჭირო შემთხვევებში.[30]

[28] იქვე, 82.
[29] იქვე, 83.
[30] იქვე.

სამართლის ნორმათა ფორმულირების ერთი გზა შეიძლება იყოს AI-ის გამოყენების ეფექტზე, შედეგებზე ორიენტირება. აღნიშნული ჩამოაყალიბეს კეისიმ და ლემლიმ და უწოდეს მას „ზმნების და არსებითი სახელების“ მიდგომა. აღნიშნული მიდოგომა არ ფოკუსირდება იმის განმარტებაზე, თუ რა არის AI, რობოტი და ა.შ., არამედ ადგენს, რობოტისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შედაგად გამოწვეული ზემოქმედების რა შედეგები უნდა დარეგულირდეს.[31]

1.3.2. რეგულირების მიზეზი და მიზნობრიობა

ზემოქმედების შედეგებზე მსჯელობას მივყავართ მეორე კითხვასთან – რატომ? აღნიშნული ფოკუსირდება რეგულაციის რაციონალზე და ამ კითხვაზე პასუხმა უნდა დაადგინოს, რატომაა რეგულაცია საჭირო. როგორც ზემოთ აღინიშნა, რეგულირება საჭიროა სულ მცირე იმისათვის, რომ გამოიკვეთოს AI-ის გამოყენების უარყოფით შედეგებზე პასუხისმგებელი პირი. თუკი ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამ ზიანი გამოიწვია, პასუხისმგებლობის საკიხები შესაძლოა, გადაწყდეს ვალდებულებითი სამართლის ნორმების შესაბამისად. მაგრამ ეს საკმაოდ რთული იქნება, როცა საქმე ეხება ხელოვნურ ინტელექტს, რომელიც თვითსწავლის ალგორითმს იყენებს, რთული დასადგენია, ვინ უნდა აგოს პასუხი გამოწვეული ზიანისათვის. მოთხოვნა შესაძლოა მიემართებოდეს პირს, ვინც იყენებდა AI-ის, ხოლო, თავის მხრივ, ამ პირმა შესაძლოა მოთხოვნა წარადგნოს AI-ის მწარმოებლის წინააღმდეგ. ეს არის ის საკითხები, რომლის დარეგულირებასაც ევროკომისია დირექტივის მიღების გზით ცდილობს.[32]

[31] იქვე.

[32] Liability Rules for Artificial Intelligence, <https://commission.europa.eu/business-economy-euro/doing-business-eu/contract-rules/digital-contracts/liability-rules-artificial-intelligence_en> [22.08.2025]; ასევე იხ., Artificial Intelligence Liability Directive: Overview, <https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2023/739342/EPRS_BRI(2023)739342_EN.pdf> [22.08.2025]

ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლობის დირექტივა განმარტავს, თუ როდის შეიძლება დადგეს AI-ის მწარმოებლის თუ მისი მომხმარებლის პასუხისმგებლობა მისი გამოყენების შედეგად გამოწვეულ ზიანზე. მთავრობის მიერ პროგრამის გამოყენებისას შესაძლოა ზიანი არამატერიალური იყოს, ასეთ შემთხვევაში, ისინი პასუხს აგებენ ნებისმიერ შედეგზე, რაც პროგრამული უზრუნველყოფის შეცდომამ შეიძლება გამოიწვიოს.[33]

დირექტივის თანახმად, არასახელშეკრულებო (დელიქტური) ზიანი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დაზარალებულსა და AI-ის ოპერატორს შორის არ არსებობს ხელშეკრულება, მაგრამ ზიანი მაინც დადგა. ასევე გამარტივებულია ბრალის მტკიცების წინაპირობები დაზარალებულისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში, რთულია, დაზარალებულმა დაამტკიცოს, რომ კონკრეტული მოქმედება ან გადაწყვეტილება AI-ის ბრალია/მისი მოქმედების შედეგია. დირექტივა ქმნის „მტკიცების წინაპირობებს", რაც ამარტივებს დაზარალებულის მტკიცებულებით უზრუნველყოფას, მაგალითად, თუ კომპანიამ არ შეინახა საჭირო მონაცემები AI-ის გამართულად მუშაობის შესახებ; ან თუ კომპანიამ ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების/მონიტორინგის ვალდებულებას.[34]

დასახელებული დირექტივა ხელოვნურ ინტელექტს ჰყოფს მაღალი ხარისხის რისკის მქონედ (მაგ., თვითმავალი მანქანები, სამედიცინო დიაგნოსტიკა), რომელზეც პასუხისმგებლობის უფრო მკაცრი წესები ვრცელება და დაბალი ხარისხის რისკის მქონედ, რასთან დაკავშირებითაც რეგულაცია შედარებით რბილია. რაც შეეხება პასუხისმგებლობას, დირექტივის თანახმად პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს: AI-ის შემქმნელს/დეველოპერს; AI-ის

[33] Lodder, Cooper, 2023, 84.

[34] The EU AI Liability Directive (Directive 2022/496 of the European Parliament and of the Council, 28 September 2022).

ოპერატორს/მფლობელს; იმ პირს, ვინც შეცვალა ან შეცდომით გამოიყენა AI სისტემა.

დირექტივის მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ არსებული სამართლებრივი ჩარჩო ხშირად ვერ პასუხობს ტექნოლოგიური განვითარების სისწრაფეს. ევროკავშირის მიზანი კი ისაა, რომ პირები უკეთ იყვნენ დაცულნი, ხოლო კომპანიებმა იცოდნენ, რა ვალდებულებები აკისრიათ AI სისტემების შექმნისა და გამოყენებისას.

1.3.3. რეგულირების ფორმა და მეთოდი

არსებობს თვითრეგულირების ნებაყოფლობითი ფორმები, მაგრამ ისინი ეფექტიანი არაა, აკლია აღსრულებადობა. სახელმწიფოს მიერ დადგენილი რეგულაციის უმთავრესი უპირატესობა მისი სავალდებულოობა და აღსრულებაუნარიანობაა. AI-ის ტექოლოგიის საერთაშორისო ბუნების გათვალისწინებით, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ეროვნული სამართლის ტერიტორიული საზღვრების დადგენა, ან იმის განსაზღვრა, რამდენადაა საჭირო სართაშორისო, სუპრანაციონალური ინიციატივა ამ საკითხის დასარეგულირებლად. დასადგენია აღმასრულებელი, რეგულაციის აღსრულების მექანიზმები, მისი დარღვევის შედეგები, ასევე, სად ერწყმის რეგულირების ობიექტი მის აღსრულებას – კერძოდ კი, როგორ უნდა აღსრულდეს ალგორითმებთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები.[35]

ტექნოლოგიის გლობალური ბუნების გათვალისწინებით, ევროავშირს აქვს უკეთესი მექანიზმები, დაარეგულიროს აღნიშნული საკითხი დირექტივის საშუალებით,[36] რასაც უნდა მოჰყვეს რეგულაცია ეროვნულ დონეზე. აღნიშნული ფორმით საკითხის გადაწყვეტის

[35] Lodder, Cooper, 2023, 84.

[36] იქვე, 86.

ნათელი მაგალითია ე.წ. "cookies"-ის რეგულირება.[37] მართალია, იგი არ აიკრძალა, თუმცა კომპანიებს, რომლებიც მათ იყენებენ, დაუწესდათ ვალდებულება, გააფრთხილონ მომხმარებლები ამის შესახებ და მიიღონ მათგან თანხმობა. ამ საკითხის აღსრულებას კი ზედამხედველობენ ტელეკომუნიკაციებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები.[38]

III. ხელოვნური ინტელექტი და სოციალური მედია

ხელოვნურ ინტელექტსა და მის სამართლებრივ რეგულირებაზე საუბრისას, საკმარისია გავიხსენოთ სოციალური მედია, თავად სოციალური მედიის გავლენა დღევანდელ ყოველდღიურ ცხოვრებაზე და შემდეგ კი ხელოვნური ინტელქტის როლი სოციალური მედიაში, მის მუშაობაში და ნათელი იქნება, რომ მისი ყოველგვარი რეგულირების გარეშე დატოვება არაგონივრულია. დღევანდელი სოციალური მედია ხელოვნურ ინტელექტს წარმატებით იყენებს. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სოციალურ მედიაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მასშტაბის გააზრებისთვის სასარგებლოა 2018 წლის 22 მაისს ევროპარლამენტში მარკ ზაქერბერგის განცხადების მოსმენა. ევროპარლამენტში განხილვის საკითხი იყო, რამდენად კეთილსინდისიერად ვრცელდება ინფორმაცია სოციალურ მედიაში. იმ დროისათვის „Facebook" მწვავე კრიტიკის ობიექტად იქცა, რადგან საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, რომ კომპანია „კემბრიჯ ანალიტიკას", რომელიც იყენებდა ხელოვნურ

[37] "cookies" განმარტებულია როგორც ელეტრონული კომუნიკაციის ქსელის საშუალებით მომხმარებლის თუ ხელმომწერის კომპიუტერში დაცულ მონაცემებზე წვდომის მოპოვება და მათი გამოყენება. იხ., Directive 2002/58/EC of the European Parliament and of the Council concerning the Processing of Personal Data and the Protection of Privacy in the Electronic Communications Sector (Directive on Privacy and Electronic Communications), 12 July 2002, Art. 5(3).

[38] Lodder, Cooper, 2023, 86.

ინტელექტს, რათა სოციალური ქსელის საშუალებით გარკვეული მომხმარებლებისათვის შეეთავაზებინა პოლიტიკური შინაარსის მასალა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის განმავლობაში, დროებით წვდომა ჰქონდა მილიონობით მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებზე.[39]

აღნიშნული ფაქტი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება სოციალური მედიის „ორგანიზებული მომხარებლებმა" გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტი. ე.წ. ქცევითი მარკეტინგი იყენებს ხელოვნურ ინტელექტს გარკვეულ პროდუქციის მომხმარებლისათვის შეთავზებისას (ეფუძნება მომხარებლის ქცევაზე დაკვირვებას მისი ინტერესის სფეროს დადგენის მიზნით). სწორედ ხელოვნური ინტელექტი ახდენს იმის იდენტიფიცირებას, თუ რა შედის თქვენი ინტერესის სფეროში (თქვენს მიერ ხშირად მონახულებული გვერდების მიხედვით). უდავოა, რომ ამ შემთხვევაში ხელოვნური ინტელექტი იყენებს ინფორმაციას თქვენ შესახებ, რომელიც თქვენ ნებით თუ უნებურად გაეცით, როდესაც სოციალურ მედიაში გარკვეული ვებგვერდის ნახვით დაინტერესდით, ანუ გამოხატეთ თქვენი ინტერესი გარკველი სფეროს მიმართ (მაგ., გაეცანით სპორტის, მოდის, პოლიტიკურ სიახლეებს და ა.შ.).

ზაქერბერგის განცხადებით:

> „ჩვენ ვიყენებთ ახლა ტექნოლოგიებს, მათ შორის, ხელოვნური ინტელექტს, იმისათვის, რომ წავშალოთ ყალბი ანგარიშები, რომლებიც პაუხისმგებელნი არიან ყალბი ინფორმაციის თუ ცუდი რეკლამების გავრცელებაში, რასაც მომხარებელი ხედავს „Facebook"-ზე. 2017 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ჩვენმა სისტემამ აღმოაჩინა და გააუქმა 30 000 ყალბი ანგარიში."[40]

[39] Krönke, 2020, 146.

[40] იქვე, 147.

აღნიშნული განცხადებიდან ნათლად ჩანს, რომ AI არაა მხოლოდ სოციალური მედიის მართვის ეფექტიანი საშუალება, არამედ იგი აუცილებელია სოციალური მედიის მომხმარებელთა უფლბების დასაცავადაც. სოციალური მედია აქტიურად იყენებს ხელოვნურ ინტელექტს უკანონო, შეურაცხმყოფელი შინაარსის ინფორმაციის გავრცელების აღსაკვეთად, თუმცა, იმავდროულად, გამოწვევაა, შეცდომით, არამართლზომიერად არ შეეშალოს მომხმარებელს ხელი ისეთი ინფორმაციის გავრცელებაში, რომელიც არ არღვევს რეგულაციებს.[41]

რამდენადაც უდავოა, რომ AI-ის გამოყენება კიდევ უფრო გაიზრდება არა მხოლოდ სოციალურ მეადიაში, არამედ სხვა სფეროებშიც, იგი არ უნდა იყოს რეგულირების მიღმა. ამასთან, ცხადია, რომ მას შეუძლია შეასრულოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი როლი. რეგულაციის მიზანი კი უნდა იყოს, აღკვეთოს უარყოფითი შედეგები იმგვარად, რომ გადამეტებული რეგულაციით არ დააზარალოს და შეაფერხოს დადებითი ეფექტი.

სოციალურ მედიაში ინფორმაციის გავრცელება მედიასამართლით რეგულირდება. მისი გამავრცელებელი პასუხსმეგებელია ინფორმაციის შინაარსსა და სისწორეზე. თავის მხრივ, იგი ასევე დაცულია სამართლით, რომელიც აძლევს მას უფლებას, თავისუფლად გაავრცელოს ინფორმაცია კანონის შესაბამისად და ფარგლებში. AI-ზე დამყარებული კომუნიკაციის ფორმები *prima facie* უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც მათი პროვაიდერების ფუნდამენტური უფლება, გაავრცელონ ინფორმაცია ამ ფორმითა და საშულებით. აღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ ამ უფლების შეზღუდვა დაუშვებელია. თუმცა, უდავოა, რომ ნებისმიერი თავისუფლების შეზღუდვას სჭირდება გამორჩეულად საფუძვლიანი იურიდიული დასაბუთება.[42]

[41] იქვე, 159.
[42] იქვე, 155.

აღინიშნავია, რომ აკრძალვა გამოსავალი არ არის. აუცილებელია სათანადო რეგულირება იმისათვის, რომ არ დაირღვეს მომხმარებელთა უფლებები. მომხამრებელი ფიზიკური პირისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ მას კომუნიკაცია აქვს ხელოვნურ ინტელექტთან ან მის მიერ გენერირებულ ინფორმაციასთან. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოწესრიგება აქვს გერმანიას, რომელიც ტელემედია სერვისის მომწოდებლებს ავალდებულებს, ნათლად მიუთითონ, როცა მათ მიერ გავრცელებეული ტექსტი (მისი შინაარსი) გენერირებულია კომპიუტერის (AI-ის) მიერ, თუკი ასეთი ტექსტი განკუთვნილია ფიზიკური პირებისათვის.[43]

IV. ხელოვნური ინტელექტის შესახებ სამართლებრივი ჩარჩო ევროკავშირში

ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტი პირველი ყოვლისმომცველი წესია ამ სფეროში. იგი ახდენს AI-ის სისტემის კლასიფიკაციას რისკების კატეგორიების მიხედვით: 1. გაუმართლებელი რისკის შემცველი (ფასდება სახელმწიფოს მიერ) – უნდა აიკრძალოს; 2. მაღალი რისკის შემცველი (AI, რომელიც გამოიყენება ჯანდაცვის სფეროში, სამართლის აღსრულების ნაწილში) – უნდა იყოს მკაცრი მოთხოვნების და რეგულაციის საგანი; 3. მინიმალური და რისკის არმქონე AI (მაგ., ჩატბოტები) – ხვდება ნაკლები რეგულაციის ქვეშ. რეგულაციები უნდა ემყარებოდეს გამჭირვალობას, ანგარიშვალდებულობასა და სამართლიანობას. ნიშნადობლივია, რომ ევროდირექტივა პრევენციული მნიშვნელობისაა, რამდენადაც იგი ეხება AI-ის ex ante რეგულირებას, კერძოდ, იქამდე, ვიდრე ხელოვნური ინტელექტი გამოვა ბაზარზე. მისი მიზანია, რომ AI სისტემები იყოს უსაფრთხო, გამჭვირვალე და კონტროლირებადი.

[43] იქვე, 159.

იგი ადგენს რისკებზე დაფუძნებულ კლასიფიკაციას და რეგულირების სტანდარტს, ეხება ტექნიკურ შესაბამისობას, დიზაინს, შეფასებასა და დოკუმენტაციას.[44]

ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლობის დირექტივა ex post რეგულირებას ეხება და ადგენს პასუხისმგებლობის დაკისრების წესებს, როდესაც AI სისტემამ უკვე გამოიწვია ზიანი. მისი მიზანია, დაზარალებულს გაუადვილდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.[45] შეიცავს მტკიცების ტვირთის გადანაწილების მექანიზმებს. შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ დასახელებული ორი მნიშვნელოვანი აქტი ქმნის AI-ის რეგულირების ძირითად ჩარჩოს ევროკავშირში.

საკანონმდებლო რეგილირება მნიშვნელოვნად ჩამორჩება ტექნოლოგიურ განვითარებას, შეიძლება ითქვას, რომ სამართალი დაკვირვების ეტაპზეა, ცდილობს რამე მნიშვნელოვანი არ გამორჩეს მხედველობიდან. საკითხი ძალზედ მნიშვნელოვანია, აჩქარება არ არის მიზანშეწონილი, თუმცა დაგვიანებულმა რეგულირებამ შესაძლოა უარყოფითი შედეგები მოიტანოს. თვალსაჩინოა, რომ ეფექტიანი სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით ევროკავშირი მოწინავე პოზიციაზეა, შესაბამისად, მისი ჩარჩო მოწესრიგების რეცეფცია სრულიად შესაძლებელია, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ევროკავშირის კანდიდატი სახელმწიფოა, ეროვნული კანონმდებლობის აპროქსიმაცია არათუ სასურველი, მიზანშეწონილიც კია.

[44] The EU Artificial Inteligence Act (Regulation (EU) 2024/1689 of the European Parliament and of the Council, 13 June 2024).

[45] The EU AI Liability Directive (Directive 2022/496 of the European Parliament and of the Council, 28 September 2022).

V. დასკვნა

ევროკავშირში სპეციალური სამართლებრივი ჩარჩო დირექტივის სახით, რომელსაც, როგორც წესი, მოჰყვება ხოლმე წევრი სახელმწიფოების მიერ შესაბამისი კანონის მიღება, იქმნება იმისთვის, რომ ტექნოლოგიური განვითარება არ დარჩეს მოწესრიგების გარეშე, რასაც აქვს პრევენციული მნიშვნელობა, ხოლო ზიანის დადგომის შემთხვევაში დაზარალებულების დაცულობას უზრუნველყოფს.

საქართველოში სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ზოგადი დელიქტური პასუხისმგებლობის სისტემა მუშაობს (992-ე–1008-ე მუხლები), რაც ხშირად საკმარისი არაა რთული ტექნოლოგიური შემთხვევების მოსაწესრიგებლად (მაგ., ავტონომიური მანქანები, AI დიაგნოსტიკა, რობოტიზებული გადაწყვეტილებები, ხმოვან ასისტენტებზე დაყრდნობით მოქმედება და სხვ.). ევროკავშირის სამართალთან დაახლოების მიზნით, სასურველია, ხელოვნური ინტელექტთან დაკავშირებულ საკითხებზე შეიქმნას ცალკე საკანონმდებლო აქტი, რომელიც სულ მცირე გაითვალისწინებს იმ თემებს, რასაც ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლობის ევროდირექტივა და ხელოვნური ინტელექტის შესახებ აქტი ეხება. რეკომენდებულია ამ კანონით განისაზღვროს: ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი დეფინიცია; მაღალი რისკის AI ტექნოლოგიების იდენტიფიკაცია და რეესტრი; მტკიცების ტვირთის გადანაწილება დაზარალებულის სასარგებლოდ გარკვეულ შემთხვევებში; დეველოპერისა და ოპერატორის პასუხისმგებლობის სპეციალური ნორმები; დოკუმენტაციის შენახვის ვალდებულება, ლოგების, ქცევის მოდელების და უსაფრთხოების პოლიტიკა;

თანამედროვე ტექნოლოგიების სამართლის უზენაესობის ფუნდამენტურ პრინციპებთან შესაბამისობა მხოლოდ სამართლის საშუალებითაა შესაძლებელი. სამართალი უნდა პასუხობდეს

ტექნოლოგიურ განვითარებას და არ ჩამორჩეს მას. ტექნოლოგიური კომპანიები, რომლებიც ქმნიან სხვადასხვა დანიშნულების AI ტექნოლოგიებს, ცხადია, არ მიესალმებიან ამ საქმიანობის საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევას, თუმცა ეს გარადაუვალია. გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ მხოლოდ ეროვნულ დონეზე რეგულირება ვერ იქნება ეფექტიანი, AI-ის გამოყენების ტრანსნაციონალური ბუნების გამო. ამდენად, საჭიროა ასევე ტრანსნაციონალური რეგულირება და ეფექტური მექანიზმების არსებობაც.

ამ საკითხებთან დაკავშირებით ბევრი უნდა ითქვას, ბევრიც დაიწეროს, გაიმართოს დოსკუსიები შესაბამის პროფესიულ წრეებში, აუცილებელია თვალყურის მიდევნება შედარებითსამართლებრივი პერსპექტივით და შესაბამისად მოქმედება. ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება ვერ იქნება გამართლებული სამართლებრივი თუ ეკონომიკური თვალსაზრისით, თუმცა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ქართული სამართალი არ ჩამორჩეს ტექნოლოგიურ პროგრესს და უზრუნველყოფს უფლებების დაცვის ეფექტიანი მექანიზმების არსებობა.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- Brownsword R., Goodwin M., Law and the Technologies of the Twenty-First Century, Cambridge University Press, 2012
- De Franceschi A., Schulze R., Digital Revolution – New Challengies for Law: Introduction, in: Digital Revolution – New Challengies for Law, Data protection, Artificial Inteligence, Smart Contracts, Blockchain Technology and Virtual Currencies, Edited by A. De Franceschi and R. Schulze, C.H. Beck, Nomos, 2019
- Hildebrandt M., Smart Technology and the End(s) of Law, Edward Elgar Publishing, 2015
- Krönke Chr., Artificial Intelligence and Social Media, in: Regulating Artificial Intelligence, Edited by Th. Wischmeyer and T. Rademacher, Springer, 2020

- Lodder A.R., Cooper Z., Do Algorithms Need to Be Regulated, and If So, What Algorithms?, in: Research Handbook on EU Internet Law, 2nd Edition, Edited by A. Savin and J. Trzaskowski, Edward Elgar Publishing, 2023
- Markou Chr., Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on Consumer Rights, in: EU Regulation of E-Commerce: A Commentary, Edited by A.R. Lodder and A.D. Murray, Edward Elgar Publishing, 2017
- Rademacher T., Wischmeyer Th., Preface: Good Artificial Intelligence, in: Regulating Artificial Intelligence, Edited by Th. Wischmeyer and T. Rademacher, Springer, 2020
- Russell S.J., Norving P., Artificial Inteligence a Modern Approach, 4th Edition, Pearson Education, 2022
- Schirmer J.-E., Artificial Intelligence and Legal Personality: Introducing “Teilrechtsfähigkeit”: A Partial Legal Status Made in Germany, in: Regulating Artificial Intelligence, Edited by Th. Wischmeyer and T. Rademacher, Springer, 2020
- Sherwin R.K., When Law Goes Pop, The Vanishing Line between Law and Popular Culture, The University of Chicago Press, 2000
- Zimmer D., Legal Personality, in: 400 Years of Company Law, Edite by E. Gepken-Jager, G. van Solinge and L. Timmerman, Kluwer Legal Publishers, 2005

REGULATION OF ARTIFICIAL INTELIGENCE: CHALLENGES AND OPPORTUNITIES

LASHA TSERTSVADZE

Associate Professor of East European University

https://orcid.org/0000-0001-8769-4540

Abstract

Using comparative legal analysis, this article examines the necessity and feasibility of regulating artificial intelligence (AI) in contemporary law. It asks whether comprehensive and effective AI regulation is achievable given the technology's complexity and rapid evolution. The European Union is identified as a frontrunner, having adopted two major instruments that together establish ex ante and ex post regulatory frameworks. By contrast, most developed jurisdictions have yet to enact AI-specific legislation, though early initiatives indicate growing recognition of the need for legal oversight. The article critically evaluates proposals to grant legal subjectivity to AI, concluding that such an approach presents significant legal risks and is neither necessary nor advisable.

In Georgia, where no dedicated AI framework currently exists, the article outlines potential regulatory models and offers recommendations on core issues to guide the development of national AI legislation.

Keywords: AI; Regulation; European Union; Georgia; Law and Technology.